

**„აფხაზეთის კულტურულ-შემოქმედებითი განვითარების ხელშეწყობა“**

**(პროგრამული კოდი - 06 27 02)**

| <p><b>პროგრამის<br/>განმახორციელებელი</b></p> | <p><b>სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო“</b></p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                           |
|-----------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <p><b>პროგრამის აღწერა<br/>და მიზანი</b></p>  | <p>პროგრამის მიზანია აფხაზური კულტურისა და შემოქმედების დაცვა, განვითარება, პოპულარიზაცია და ხელშეწყობა.</p> <p>პროგრამა გულისხმობს ისეთი პროექტების ხელშეწყობას, რომლებიც, უზრუნველყოფს კულტურის ხელმისაწვდომობას, ქართულ - აფხაზური შემოქმედებითი პროცესების სტიმულირებას, ახალგაზრდა ხელოვანების საქმიანობის პოპულარიზაციას, კულტურის ტრადიციული და ახალი დარგების (საშემსრულებლო, ვიზუალური, შემოქმედებითი მიმართულებების და სხვა...) გაძლიერებას, აფხაზური კულტურის ინტეგრირებას საერთო კულტურულ რუკაზე, მის გატანას საერთაშორისო დონზე და ინკლუზიური პროექტების ხელშეწყობას. დამოუკიდებელი სახელოვნებო ორგანიზაციების, ჯგუფების, ხელოვანების მიერ წარმოდგენილი პროექტების განხორციელების ხელშეწყობას.</p> <p>დასახული მიზნების მისაღწევად პროგრამა ითვალისწინებს შემდეგი ტიპის პროექტების და ღონისძიებების ხელშეწყობა/განხორციელებას: ფესტივალები (ადგილობრივი და საერთაშორისო), ტრადიციული და სახალხო დღესასწაულები, შემოქმედებითი და საიუბილეო საღამოები, საგამომცემლო საქმიანობა, გამოფენები, თეამატური ვორქშოფები.</p> |
| <p><b>მოსალოდნელი<br/>შედეგი</b></p>          | <p>პროგრამა უზრუნველყოფს აფხაზური კულტურისა და შემოქმედების განვითარებასა და პოპულარიზაციას, მრავალფეროვანი პროექტების განხორციელებას.</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                       |

| საბოლოო შედეგის შეფასების კრიტერიუმი |        |            |              |    |      |             |
|--------------------------------------|--------|------------|--------------|----|------|-------------|
| კულტურის                             | სფეროს | მდგრადობის | უზრუნველყოფა | და | მეტი | ღონისძიების |
| თანდაფინანსება/გნხორციელება.         |        |            |              |    |      |             |

| <p>ქვეპროგრამა - „საშემსრულებლო ხელოვნების ხელშეწყობა“</p> <p>(პროგრამული კოდი - 06 27 02 01)</p>                                   |                                                                                                                                                                                                                                                                               |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი                                                                                                      | სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო“                                                                                                                                                                                                                      |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი                                                                                                       | ქვეპროგრამა ითვალისწინებს საშემსრულებლო ხელოვნების განვითარების ხელშეწყობას, კერძოდ, თავისუფალი თეატრალური პროექტების განხორციელებისა და თეატრალური ხელოვნების განვითარებას, ახალგაზრდა რეჟისორების პოტენციალის გამოვლენასა და სათეატრო სივრცის შევსებას ახალი წარმოდგენებით. |
| მოსალოდნელი შედეგი                                                                                                                  | ქვეპროგრამა უზრუნველყოფს სათეატრო ხელოვნების განვითარებისა და რეპერტუარის ახალი სპექტაკლებით გამდიდრებას. ახალგაზრდა ხელოვნების მოტივაციის ამაღლებასა და მათთვის ახალი შესაძლებლობების გაჩენას.                                                                               |
| საბოლოო შედეგის შეფასების კრიტერიუმი                                                                                                |                                                                                                                                                                                                                                                                               |
| გაზრდილი დაფინანსების შემთხვევაში, ქვეპროგრამით გათვალისწინებული სფეროების მდგრადობა და მეტი პროექტის თანადაფინანსება/გნხორციელება. |                                                                                                                                                                                                                                                                               |

|                                                      |
|------------------------------------------------------|
| პროგრამა - „საიუბილეო და შემოქმედებითი ღონისძიებები, |
|------------------------------------------------------|

| <p><b>ტრადიციული და სახალხო დღესასწაულები</b></p> <p>(პროგრამული კოდი - 06 27 02 02)</p>                                                                                                               |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                             |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <p><b>პროგრამის განმახორციელებელი</b></p>                                                                                                                                                              | <p>სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო“</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                             |
| <p><b>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</b></p>                                                                                                                                                            | <p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს აფხაზეთის კულტურის სფეროს ღვაწლმოსილი ხელოვანების შემოქმედებისადმი მიძღვნილი ღონისძიებების, ასევე სხვადასხვა ტიპის გამოფენებისა და შემოქმედებითი საქმიანობის, როგორც ტრადიციული ისე თანამედროვე დარგებისა და მიმართულებების, ტრადიციული და სახალხო დღესასწაულების ხელშეწყობას (აფხაზეთობა, მხატვრობა, ფოტოგრაფია, რეჟვა, დიზაინი და სხვა).</p> |
| <p><b>მოსალოდნელი შედეგი</b></p>                                                                                                                                                                       | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიებებით აღინიშნება აფხაზეთის ღვაწლმოსილი ადამიანების საიუბილეო თარიღები. გაიმართება შემოქმედებითი სადამოები, გამოფენები, განხორციელდება ინიცირებული, სხვადასხვა შემოქმედებითი ღონისძიებები.</p>                                                                                                                                  |
| <p><b>საბოლოო შედეგის შეფასების კრიტერიუმი</b></p>                                                                                                                                                     |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                             |
| <p>ქართულ - აფხაზური შემოქმედებითი პროცესების სტიმულირება, ხელოვანი ადამიანების საქმიანობის პოპულარიზაცია, გაზრდილი დაფინანსების ფარგლებში დამატებითი ღონისძიებების თანადაფინანსება/განხორციელება.</p> |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                             |

| <p><b>ქვეპროგრამა - „ფესტივალებისა და კონკურსების ხელშეწყობა“</b></p> <p>(პროგრამული კოდი - 06 27 02 03)</p> |                                                                 |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------|
| <p><b>პროგრამის განმახორციელებელი</b></p>                                                                    | <p>სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო“</p> |

|                                                                                                                                  |                                                                                                                                                                                               |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <b>ქვეპროგრამის<br/>აღწერა და მიზანი</b>                                                                                         | ქვეპროგრამა ითვალისწინებს ხელოვნების სხვადასხვა სფეროში - თანამედროვე და კლასიკური მუსიკისა და ქორეოგრაფიის, თეატრალური, სახვითი ხელოვნების და სხვა ფესტივალებისა და კონკურსების ხელშეწყობას. |
| <b>მოსალოდნელი<br/>შედეგი</b>                                                                                                    | სახელოვნებო სფეროს კულტურული მრავალფეროვნების წარმოჩენა ფესტივალებისა და კონკურსების ჩატარების გზით.                                                                                          |
| <b>საბოლოო შედეგის შეფასების კრიტერიუმი</b>                                                                                      |                                                                                                                                                                                               |
| ქვეპროგრამით გათვალისწინებული მიმართულებების მდგრადობის უზრუნველყოფა ფესტივალებისა და კონკურსების გაზრდილი რაოდენობა და ხარისხი. |                                                                                                                                                                                               |

|                                                         |                                                                                                                                                                                                                                                                                                                |
|---------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <b>ქვეპროგრამა - „ინკლუზიური პროექტების ხელშეწყობა“</b> |                                                                                                                                                                                                                                                                                                                |
| <b>(პროგრამული კოდი - 06 27 02 04)</b>                  |                                                                                                                                                                                                                                                                                                                |
| <b>ქვეპროგრამის<br/>განმახორციელებელი</b>               | <b>სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო“</b>                                                                                                                                                                                                                                                |
| <b>ქვეპროგრამის<br/>აღწერა და მიზანი</b>                | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ინკლუზიური პროექტები ხელოვნების სფეროს სხვადასხვა დარგში. პროგრამის მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, ყველასათვის თანაბარი შესაძლებლობების გაჩენა და შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საჭიროების მქონე პირების მაქსიმალური ჩართულობა კულტურულ პროცესებში. |
| <b>მოსალოდნელი<br/>შედეგი</b>                           | შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საჭიროების მქონე პირების მაქსიმალური ჩართულობით განხორციელებული ღონისძიებები.                                                                                                                                                                                           |
| <b>საბოლოო შედეგის შეფასების კრიტერიუმი</b>             |                                                                                                                                                                                                                                                                                                                |

მეტი ინკლუზიური პროექტის განხორციელება.

**ქვეპროგრამა - „საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა“**

**(პროგრამული კოდი - 06 27 02 05)**

|                                                                                                                                             |                                                                                                                                                                           |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <b>პროგრამის<br/>განმახორციელებელი</b>                                                                                                      | <b>სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო“</b>                                                                                                           |
| <b>ქვეპროგრამის<br/>აღწერა და მიზანი</b>                                                                                                    | ქვეპროგრამის მიზანია აფხაზეთის შესახებ მონოგრაფიების, კატალოგების, მხატვრული ტექსტის, ბიოგრაფიული ინფორმაციის და სხვა საკითხების შესახებ ნაშრომების გამოცემის ხელშეწყობა. |
| <b>მოსალოდნელი<br/>შედეგი</b>                                                                                                               | ქვეპროგრამის ფარგლებში გამოცემული ახალი მრავალფეროვანი ლიტერატურა აფხაზეთის შესახებ.                                                                                      |
| <b>საბოლოო შედეგის შეფასების კრიტერიუმი</b>                                                                                                 |                                                                                                                                                                           |
| საგამომცემლო-ლიტერატურული საქმიანობის ხელშეწყობისა და დარგის მდგრადი განვითარების მიმართულებით, დამატებითი ინიციატივების <b>ხელშეწყობა.</b> |                                                                                                                                                                           |

**ქვეპროგრამა - „მე აფხაზეთისთვის“**

**(პროგრამული კოდი - 06 27 02 06)**

|                                           |                                                                 |
|-------------------------------------------|-----------------------------------------------------------------|
| <b>ქვეპროგრამის<br/>განმახორციელებელი</b> | <b>სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო“</b> |
|-------------------------------------------|-----------------------------------------------------------------|

|                                                                                                                               |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                        |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <b>ქვეპროგრამის<br/>აღწერა და მიზანი</b>                                                                                      | სააგენტოს ვებ-გვერდსა და ფეისბუკ გვერდზე დაიწყება კამპანია, სადაც შეირჩევა საუკეთესო, საინტერესო ისტორიის მქონე ათი გმირი, რომელთა წარდგენა განხორციელდება სპეციალურად მოწვეულ სადამოზე.                                                                                                                                                                               |
| <b>მოსალოდნელი<br/>შედეგი</b>                                                                                                 | შედეგად მნიშვნელოვნად გაიზრდება აფხაზეთიდან დევნილთა წარმატებული და საინტერესო ისტორიების პოპულარიზაცია, ამოღდება შერჩეულ გმირთა მოტივაცია, გაიზრდება შთაბეჭდილებებით ნაზიარებ ადამიანთა რიცხვი.<br><br>ტელევიზიებისა და სოციალური ქსელების მეშვეობით გაშუქდება აფხაზეთიდან დევნილ შერჩეულ გმირთა წარდგენა, შედეგად დაიმსახურებენ საზოგადოების ფართო წრის მხარდაჭერას. |
| <b>საბოლოო შედეგის შეფასების კრიტერიუმი</b>                                                                                   |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                        |
| ყოველ წელს შეირჩევა 10 გმირი, რომელნიც აფხაზეთიდან არიან და მათი საქმიანობა საინტერესო იქნება მკითხველისა და მაყურებლისათვის. |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                        |

|                                                               |                                                                                                                                                        |
|---------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <b>ქვეპროგრამა - „საახალწლო ზეიმი დევნილი ბავშვებისათვის“</b> |                                                                                                                                                        |
| <b>(პროგრამული კოდი - 06 27 02 07)</b>                        |                                                                                                                                                        |
| <b>ქვეპროგრამის<br/>განმახორციელებელი</b>                     | სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო“                                                                                               |
| <b>ქვეპროგრამის<br/>აღწერა და მიზანი</b>                      | დევნილი მოზარდებისთვის საახალწლო განწყობისა და მხიარული ატმოსფეროს შექმნა და მათი უნარების განვითარება.                                                |
| <b>მოსალოდნელი<br/>შედეგი</b>                                 | საახალწლო ზეიმში აქტიური მონაწილეობა დადებითად აისახება მათ სულიერ განწყობაზე, საზეიმო ელფერს შემატებს მათ ცხოვრებას, განუმტკიცებს მომავლისადმი იმედს. |

### *საბოლოო შედეგის შეფასების კრიტერიუმი*

დევნილი მოზარდებისთვის საახალწლო განწყობისა და მხიარული ატმოსფეროს შექმნა და მათი უნარების განვითარება.